

ნუგზარ მოსულიშვილი
ფიზიკის ლაბორატორიის გამგე
სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი“

მასტერკლასი - “სასკოლო ექსპერიმენტები ფიზიკაში”

როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და სხვა პროფესიული ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები ადასტურებს, საბუნებისმეტყველო და კერძოდ ფიზიკის პედაგოგები, განსაკუთრებით აღნიშნავენ ექსპერიმენტულ ნაწილში დახმარების საჭიროებას, ამ კვლევებზე დაყრდნობით უკვე ტარდება სხვადასხვა სახის ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები. ამავ მიზანს ემსახურება ბათუმში დაგეგმილი მასტერკლასი.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების მაღალი ტემპი ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს სასწავლო პროცესს. ამ გარემოებების ფონზე საკლასო ოთახს და სწავლების პროცესს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რათა მოსწავლეებმა შეძლონ იმ უნარების განვითარება, რომლებსაც თანამედროვე გარემო მოითხოვს მათგან, ამიტომ არის ასე მნიშვნელოვანი ტრადიციული საგაკვეთილო მასალის ტექნოლოგიებით გამრავალფეროვნება.

მასტერ კლასის მიზანია ფიზიკის სწავლებისას ექსპერიმენტული კვლევის მნიშვნელობის უკეთ გააზრება. სასკოლო ცდების ჩატარების და მიღებული მონაცემების დამუშავების უნარ-ჩვევების გაუმჯობესება. ფიზიკის სწავლებისას, როგორც ტრადიციული ასევე თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების, ვირტუალური ექსპერიმენტების და ანიმაციების უკეთ გამოყენება.

მასტერ კლასზე წარმოდგენილი იქნება:

- მიკრო-კომპიუტერისა და მიკრო-კონტროლერის გამოყენება სასწავლო პროცესში.
- ფიზიკურ მოვლენათა სახალისო, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება ვირტუალური ლაბორატორიის დახმარებით.
- იაფი ტექნოლოგიების გამოყენება ექსპერიმენტების სადემონსტრაციოდ.
- ტრადიციული, სასკოლო ექსპერიმენტები. (მექანიკა, ელექტრობა, ოპტიკა)
- სახალისო ექსპერიმენტები.

მასტერ კლასის მიზნობრივი ჯგუფი: ფიზიკის მოქმედი მასწავლებლები

მსმენელთა რაოდენობა: 25 მსმენელი

ხანგრძლივობა: 4 საათი